თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გოგი რევიშვილი:

## „ზვიადი იყო პირველი ვიოლინო, რომელმაც ააჟღერა და გააღვივა თავისუფლების სურვილი ერში!“

31 მარტი — პირველი პრეზიდენტის და პირველი რეფერენდუმის დაბადების დღე

იხილეთ მე-5 გვერდზე



№ 9 (697) 31 მარტი - 6 აპრილი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# ქუთაისში არსებული მწვანე საფარი საგანგაშო ნიშნულამდეა დასული

## მოიჭრება თუ არა ქუთაისში „წითელ წიგნში“ შესული ჭადრები?



„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

**საერთაშორისო სტანდარტებით, ქუთაისში ერთ სულ მოსახლეზე 25 კვ. მეტრი გამწვანებული ფართობი უნდა მოდიოდეს, თუმცა დღევანდელი მონაცემებით, ქუთაისში არსებული მდგომარეობა საგანგაშო ნიშნულს აღწევს. გაანგარიშებით დადგინდა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 11 კვ.მეტრი ფართობი მწვანე საფარი მოდის. რასაც არცთუ მცირე რაოდენობის ავტომობილთა გამონაბოლქვი ემატება, რაც საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობისთვის.**

ქუთაისში არსებული გამწვანება, დაახლოებით, 60-70 წლის არის, მას შემდეგ კი ქალაქის მწვანე ზოლი არ გაზრდილა, რაც მძიმედ აისახება როგორც ჰაერზე, ასევე – კლიმატზე.

არახალია, რომ გამწვანებას, ესთეტიურობასთან ერთად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის გამწვანების დაგეგმვა დიზაინერ-არქიტექტორის მითითებებით მოხდეს.

ქუთაისში არ არსებობს გამწვანების შესაბამისი სამსახური. ქალაქის გამწვანების ღონისძიება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ გაზონების გათიბვითა და მცენარეების დარგვით შემოიფარგლება.

წელს მერიის მიერ გამოცხადებულ 282 384 ლარიან ტენდერში გაიმარჯვა ორგანიზაციამ „ქალაქსერვისი“, რომელიც სამუშაოებს 225 875 ლარად შეასრულებს. ხელშეკრულების პირობებით ორგანიზაციამ მთელი წლის განმავლობაში მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა უნდა უზრუნველყოს.

მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, **მალხაზ ბასილაძის** განცხადებით, ქალაქის მასშტაბით 45 000 ძირი ყვავილი და 1500 ხე-მცენარე დაირგვება. ბასილაძის განცხადებით, ყვავილების დარგვა ორმაისობისთვის დასრულდება. მრავალწლოვანი მცენარეებიდან, 700 იქნება ხე, 500 კი – ვარდი. შესრულებულ სამუშაოებს მერია წლის ბოლოს ჩაიბარებს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## 21-ე საუკუნის სიღარიბის შვილები

„მამა, ეს რა არის, რომ ანათებს?
— შუქია, შვილო!“

იხილეთ მე-3 გვერდზე




## ჭიათურელი ოთარაანთ ქვრივი

ჯონი თორღვაშვილის გმირობის ამბავი

იხილეთ მე-7 გვერდზე



სკანვორდი — გვ. 8 კროსვორდი — გვ. 8

### რატომ ითხოვენ „ქუთაისის მადლიერების სახლის“ აიპის გაუქმებას?

იხილეთ მე-3 გვერდზე

### რა პროდუქტები ხვდება საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით ევროკავშირის ბაზარზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

### კვერცხის ქართველი მწარმოებლები იმპორტიორებს საქველმოქმედო აქციებით დაუპირისპირდებიან

იხილეთ მე-6 გვერდზე

### უსუ ქუთაისში შველას ითხოვს

იხილეთ მე-8 გვერდზე

### სკოლის დღიური

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056
9 771987 705004

# ქუთაისში არსებული მწვანე საფარი საგანგაშო ნიშნულამდეა დასული

## მოიქრება თუ არა ქუთაისში „წითელ წიგნში“ შესული ჭადრები?

**პირველი** გვერდიდან

„ქალაქსერვისს“ უკვე აქვს ქალაქში მუშაობის გამოცდილება. აღნიშნულ სამუშაოებთან ერთად, შადრევნების ექსპლუატაციასაც ხელმძღვანელობდა.

გამწვანების საკითხი უმნიშვნელო რომ იყო ქალაქში, ისიც მოწმობს, წინა წლებში ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გორის ფირმამ რომ გაიმარჯვა.

როგორც მერიის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ქუთაისის გამწვანების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მერიის 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც.

ქალაქგანვითარების გეგმა მერიის ეკონომიკის სამსახურის ინიციატივით და მერის მოვალეობის შემსრულებლის მხარდაჭერით ხორციელდება. უკვე გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რაც პროექტში წამყვან ადგილს იკავებს, მათ შორის არის ქუჩების გამწვანება. ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ ქალაქში, მწვანე საფარის მხრივ, არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს და ვერც შესაბამის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

„ჩვენი ქალაქი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ სტანდარტებს, რომელიც არის ხელმომწერი ქალაქების მერების შეთანხმების კონცეფციით გათვალისწინებული. ამიტომ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. ევროკავშირში წარვადგინეთ მილიონიანი პროექტი, რომლის საგრანტო მოთხოვნაში ამ მიმართულების განვითარებაზე კეთდება აქცენტი. მაგალითად: ბოტანიკური ბაღის მოვლა, ასევე ვფიქრობთ ახალი ტყე-პარკის შექმნას. თუმცა, ჯერ არ ვიცით ზუსტი ადგილი, სად შეიქმნება პარკი. არის საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში არსებული ჭადრები, რომლებიც ალერგიულ ფონს ქმნიან, უფრო ადაპტირებული ხეებით შეიცვალოს, რომელთაც უკეთესი ვიზუალური მხარეც ექნებათ. ასევე მოეწყობა სანაშენე მეურნეობა, სადაც გამოყვანილი მცენარეებით არა მხოლოდ ქუთაისს, არამედ სხვა ქალაქებსაც მოვამარაგებთ. არ გამოვრიცხავთ, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი



„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

სამსახურიც ჩამოყალიბდეს,“ — აღნიშნა ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელმა, **მალხაზ ჭრელაშვილმა.**

გამწვანების სამსახურის ჩამოყალიბების მნიშვნელობის აუცილებლობაზე საუბრობს საკრებულოს დეპუტატი გიორგი შავგულიძე. შავგულიძე გამწვანების აიპის შექმნის ინიციატივით გამოდის, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები დასაქმდებიან.

**გიორგი შავგულიძე:** „ჩვენ გვაქვს პრეტენზია მეორე დედაქალაქობაზე, ამ დროს კი მწვანე საფარი სავალალო მდგომარეობაშია. როგორ გავხდებით ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი, როდესაც მოუწესრიგებელი მწვანე საფარი გვაქვს. მუხრანის უნიკალური ტყე-პარკი რა მდგომარეობაშია? სამწუხაროა, რომ სავარდო და სამაისოდ წოდებულ ქალაქში ერთ ვარდსაც ვერ ნახავთ. გამწვანება უნდა იყოს ერთიან სისტემაში მოყვანილი, არ უნდა ცხადდებოდეს ტენდერი და შემთხვევითმა პირებმა არ უნდა გაიმარჯვონ, რომლებიც ნორმების დარღვევით ახდენენ ხეების გადაბელვას. ნაცვლად 45-გრადუსიანი დახრილობისა, ტოტებს ჰორიზონტალურად ჭრიან, რაც აზიანებს მათ. ამიტომ უნდა შეიქმნას გამწვანების აიპი, სადაც დასაქმებული პროფესიონალი კადრები იზრუნებენ ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობაზე“.

გამწვანების აიპის ჩამოყალიბებით პრობლემის მოგვარებას ვერ ხედავს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. მალხაზ ბასილაძის განცხადებით, აიპის შექმნა გამოსავალი არ არის, ეს საკითხი, ფინანსებთან ერთად, სხვა პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. ვინაიდან აიპსაც მოუწევს ტენდერში მონაწილეობა, არაა გამორიცხული, რომ ვერ გაიმარჯვოს. ამ შემთხვევაში კი ადგილობრივ ხელისუფლებას ახალი საშტატო ერთეული მძიმე ტვირთად დააწვება. თუმცა ბასილაძე აიპის დადებით მხარეზეც საუბრობს. მისი განცხადებით, აიპი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდება, რაც ზედმიწევნით მონიტორინგს გაუწევს ქალაქში არსებულ მწვანე საფარს.

**რა მდგომარეობაა რეალურად და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ქალაქის მასშტაბით, ამის შესახებ სპეციალისტებს ვესაუბრეთ.**

**რამაზ კილაძე,** (წერეთლის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი): „კვლევებით დადგინდა, რომ გამწვანებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქალაქებისთვის. ქალაქის ჰაერი ჭუჭყიანდება საწარმოების ნარჩენი პროდუქტებით, ავტომობილების გამონაბოლქვით, რაც ცვლის ტემპერატურის ტენიანობის რეჟიმს, ეს ყველაფერი ერთად კი ცუდად აისახება ჰაერის შემადგენლობაზე. ამიტომ აუცილებელია მწვანე საფარი. მწვანე ნარგავები ასუფთავებენ ქალაქებს ქიმიურად, ასევე ფიზიკურად, რაც გულისხმობს იმას, რომ მტვერს მცენარე იჭერს, რაც წვიმის დროს ჩამოირეცხება. ხეები არეგულირებენ ტემპერატურას ზამთარში და ზაფხულში. მნიშვნელოვანია, ხეების მოვლაზე სპეციალისტებმა იზრუნონ.

იმ სამსახურში, რაც ახლა არსებობს, არცერთი კადრი არ არის კვალიფიციური, მათ არ იციან სწორად, როგორ იზრუნონ მწვანე საფარზე. როგორ უნდა გაისხლას ხეები. რაც დღეს ხდება ქუთაისში, დანაშაულია იმ ცოცხალი ორგანიზმების წინაშე, რასაც ხეები და ყვავილები ჰქვია. არ ირწყვება მცენარეები, არ უფხვიერდებათ ნიადაგი, ხეების გადაბელვა საერთოდ ნორმების დარღვევით ხდება.

რაც შეეხება ჭადრებს, ყოვლად მიუღებელია მათი სხვა ხეებით ჩანაცვლება, რაზედაც საუბარი მიმდინარეობს, რადგან დამტკიცებულია, რომ ჭადარი არის ერთ-ერთი იმ მცენარეთაგანი, რომელიც ქალაქის პირობებს ყველაზე კარგად ეგუება. ის არგუმენტი, რომ ალერგენტია, არ არის საკმარისი მიზეზი, რადგან სწორად გადაბელვის შემთხვევაში, ხეები ნაყოფს არ იძლევიან და ნაკლებ ალერგენტები ხდებიან. ასევე, ის მიზეზი, რომ ჭადარს მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს, არაა მართებული. შეიძლება მისი ფესვების ჩაჭრა, რაც აღარ დააზიანებს ტროტუარებს. სამაგიეროდ, ბევრი კარგი თვისება აქვს, ამიტომ მათი გაქრობა ქალაქიდან მიუღებელია. საბედნიეროდ, ქალაქში არიან მაღალი დონის სპეციალისტები, რომელთა ცოდნის და ნაშრომების გამოყენება უნდა ხდებოდეს, მაგრამ ათეული წლებია, ქალაქში მწვანე საფარი არ განახლებულა, თუ არ ჩავთვლით აღმაშენებლის გამზირზე დარგულ ხეებს, რომლებიც ასევე არ შეესაბამება გარემოს. ეკოლოგიური განათლებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მწვანე საფარსაც დავკარგავთ, რაც დღეს ქუთაისში არის.“

**გამწვანების მხრივ, ქალაქში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე საუბრობს დეკორატორი ნემო კაკუშაძე. რომელიც ათეული წლებია ამ სფეროს ემსახურება. მისი რეკომენდაციებით არის მოწყობილი ქალაქში მდებარე თითქმის ყველა სკვერი და ბაღი.**

ნემო კაკუშაძეს ამჯერად საკუთარი სანაშენე მეურნეობა აქვს, სადაც მრავალი სახეობის ყვავილი და ხე-მცენარე გამოჰყავს. თუმცა, ქალაქის პირობებში მცენარეების რეალიზაცია არ ხდება.

„მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ არა მხოლოდ ხეების დარგვაზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, არამედ — მათ გახარებაზე, რადგან, როგორც წესი, ესეთი კომპანიები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ სამუშაოს შესრულებაზე. მხოლოდ ხის დარგვა არ ნიშნავს, რომ სამუშაო შესრულებულია, მას სჭირდება მოვლა, რომ გაიხაროს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება.

ქალაქში არსებული მწვანე საფარი სავალალო მდგომარეობაშია, აუცილებელია სკვერების მოწყობა, ტყე-პარკის გაკეთება, თუმცა, როგორც ირკვევა, იმ ადგილთა უმეტესობა, სადაც სკვერებია, გასხვისებულია, რაც მდგომარეობას ართულებს. კეთილი ნებაა საჭირო, რომ მოხდეს მცენარეების მასშტაბური და დროული დარგვა,“ — განაცხადა დეკორატორმა ნემო კაკუშაძემ.

ლანდშაპტის დეკორატორმა ჭადრების შესაძლო მოჭრაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, დაუშვებელია ჭადრების მასშტაბურად მოჭრა, ვინაიდან თავისი უნიკალურობის გამო, ჭადარი „წითელ წიგნშია“ შეტანილი.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# რა პროდუქტები ხვდება საქართველოდან ყველაზე დიდი რაოდენობით ევროკავშირის ბაზარზე

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ევროპის ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა საქართველოდან შეტანილ სპილენძის მადანსა და კონცენტრატებზე, ახალ და გამხმარ კაკალზე, მინერალურ, ქიმიურ სასუქებზე, ნედლ ნავთობზე, ნედლ ნავთობპროდუქტებზე და ალკოჰოლურ სასმელზეა.**

ასევე, საკმაოდ დიდია მოთხოვნა მსუბუქ ავტომობილებზეც, რომელსაც საქართველო არ აწარმოებს, მაგრამ მათი ექსპორტისთვის სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას ასრულებს.



გასულ წელს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან 161.5 მლნ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სპილენძის მადანი და სპილენძის კონცენტრატები შევიდა. ევროზონის ქვეყნებში ექსპორტირებულმა ქართულმა კაკალმა კი 116,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. შედარებით მოკრძალებული რაოდენობით შევიდა საქართველოდან ევროკავშირში მინერალური სასუქები და მსუბუქი ავტომობილები (თითოეული 50 მილიონზე მეტი აშშ დოლარი). სპირტიანი სასმელების (მათ შორის ღვინო, შამპანური) ექსპორტმა კი 30 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ეკონომისტ გიორგი აბაშიშვილის აზრით, ის, რომ ქვეყნიდან უფრო მეტად ნედლი პროდუქცია გადის და შემდეგ სხვა ქვეყნებში მიიღებენ მზა პროდუქტს, ეკონომიკური თვალსაზრისით არცთუ ისე მომგებიანია. თუმცა, მისი თქმით, ეს მოწმობს, რომ ქართულ პროდუქციას ევროკავშირის ბაზრის ათვისების საკმაო პოტენციალი აქვს. აბაშიშვილი ამბობს, რომ ქართული კაკალი ევროპელებისთვის მიმზიდველია როგორც ხარისხით, ისე დაბალი ფასით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

„ქართული ალკოჰოლური სასმელები, ღვინო თანდათან იკიდებს ფეხს ევროკავშირის ბაზარზე, მინერალური წყლები კი უფრო მეტი უნდა გადიოდეს. როგორც ჩანს, სპირტიანი სასმელების მწარმოებლებმა უფრო აქტიურად მოახერხეს საკუთარი პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრება-გასაღება. ქართულ მინერალურ წყლებს: ნაბეღლავს, ბორჯომს, როგორც გემოკვებითი, სამკურნალო თვისებებით, ისე დაბალი ფასის გამო, ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების მეტი პოტენციალი აქვთ,“ — ამბობს აბაშიშვილი.

ეკონომისტი განმარტავს, რომ მსოფლიო დონის აზიური ბრენდების მიერ წარმოებული ავტომანქანები ევროკავშირის ტერიტორიაზე ძირითადად, სწორედ საქართველოდან ხვდება. ქართულ მზა პროდუქციას კი, ჯერჯერობით, უჭირს ევროკავშირის ბაზარზე გასვლა.

„საქართველოში არის საწარმოები, რომლებიც ევროპული ხარისხის პროდუქციას აწარმოებენ, თუმცა, ჯერ წარმოება, მერე კი საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე შეტანა ისეთ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ ქართული ბრენდი ევროპულთან კონკურენციას ველარ უძლებს. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული მზა პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შესვლას,“ — მიიჩნევს აბაშიშვილი.

**ნინო კვიტაშვილი**
bpn

# 21-ე საუკუნის სიღარიბის შვილები

## „მამა, ეს რა არის, რომ ანათებს? — შუქია, შვილო!“

**ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის 18 ნომერში, ყოფილი სამხატვრო სკოლის შენობაში შესახლებული სოციალურად დაუცველები უმძიმეს პირობებში ცხოვრობენ. მათი განცხადებით, არ აქვთ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, არ არის შუქი, საპირფარეშო და მუდმივი ანტისანიტარიის პირობებში უწევთ ცხოვრება.**



„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©



„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©



„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©



„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©

ყოფილ სამხატვრო სკოლაში თვითნებურად შესახლებული, დაახლოებით, 23 სოციალურად დაუცველი და ორი დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ყოველგვარ საარსებო პირობებს მოკლებულ 15 მოზარდს თვალით არ უნახავს ტელევიზორი, 9 წლის ბავშვმა კი არ იცის, რა არის შუქი და გზაზე ნანახი განათებებით გაოგნებული უცნაურ კითხვებს სვამს:

„— მამა ეს რა არის?

— შუქია, მამა!“

ხოლო ერთი წლის ანასტასიას პირველი წინადადება, რაც გამართულად თქვა, ეს იყო: „ბინა მინდა მე“ და მას შემდეგ ამას ხშირად იმეორებს.

ყოფილ სკოლაში მცხოვრები სოციალურად დაუცველები ადგილობრივი, ქუთაისის მოქალაქეები არიან.

„აქამდე ქირით ვცხოვრობდით, მაგრამ არანაირი შემოსავალი არ გვქონდა, ბინის ხარჯებს ვერ ავუდიოდით და იძულებული გავხდით, დაგვეცალა სახლი, დავრჩით ქუჩაში და შემდეგ ამ შენობას გადავაწყდით. რა მექნა, ბავშვებს ღია ცის ქვეშ ხომ ვერ დავაძინებდი და აქ დავსახლდით. თანდათანობით სხვებიც შემოვიდნენ და უკვე 2 წელზე მეტია, ამ კედლებში გვიწევს ცხოვრება. აქ გაჩნდნენ ბავშვები, რომლებსაც თვალით არ უნახავთ შუქი, ჭრაქებზე გაიზარდნენ. ზამთარი ძლივს გადავატარეთ, საწოლებს აქეთ-იქეთ დავატარებდით, მძინარე ბავშვები რომ არ დასველებულიყვნენ,“ — აცხადებს ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი მალხაზ მამაგეიშვილი.

სამხატვრო სკოლაში შესახლებულების თქმით, ისინი ოფიციალურად ჩაწერილები არიან სკოლის შენობაში და საცხვობრებელ ადგილად მითითებული აქვთ აბაშიძის №18 (ყოფილი სამხატვრო სკოლა).

ყოფილი სამხატვროს სამსართულიანი შენობა დაზიანებულია, არ აქვთ შენობაში შესასვლელი ნორმალური კარი და ყოველი ქარის დროს უწევთ მისი ფიცრებით აჭედვა, ჩამტვრეულია მინებიც, არ არის საპირფარეშო, აბანო, გათბობა, ძველი კედლებიდან კირი ცვივა, რის გამოც ალერგია მათი მუდმივი პრობლემაა...

მოსახლეობის განცხადებით, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ შენობაში შესახლდნენ, დახმარება არაერთხელ სთხოვეს მერიას, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მომხდარა:

„ერთადერთი, რასაც ვითხოვდით, ის იყო და არის, რომ შუქი გაგვიკეთონ, ზოგჯერ სანთლის საყიდელი ფულიც კი არ გვაქვს. 21-ე საუკუნეში ბავშვები სიბნელეში უნდა გვყავდეს? გაყვანილობა არ არის წესრიგში და დენს ვერ შემოგიყვანთო გვითხრეს, შეიძლება გამოიწვეთო და ამიტომ 2 წელი უკუნეთში გვამყოფებენ, წერილი მივწერეთ ივანიშვილს, ეკა ბესელიას, მაგრამ დღემდე ასე ვართ,“ — აცხადებენ სოციალურად დაუცველები.

პირადად დავათვალიერე აღნიშნულ შენობაში შესახლებული ადამიანების საცხოვრებელი პირობები და ნანახმა აღმაშფოთა, წარმოდგენაც კი მიჭირს, თუ როგორ ზრდიან იქ ბავშვებს, მოზარდებს, რომლებმაც არ იციან რა არის შუქი, ტელევიზორი და გართობის ერთადერთი საშუალება მათი ოთახებიდან ჩამოვარდნილი მინის ნამსხვრევებით კედლებზე ხატვაა.

9 წლის ელამ ჩემს კითხვაზე, თუ რა არის მისი ბავშვური ოცნება, რას ნატრობს ყველაზე მეტად, მიპასუხა: „მე არ მინდა არც ველოსიპედი, არც თოჯინა, არც ნაყინის ჭამას არ ვნატრობ, ჩემი თანატოლების მსგავსად, მე სახლი მინდა მქონდეს, სადაც ჩემს ოჯახთან ერთად მშვიდად შევძლებ ცხოვრებას.“

აბაშიძის №18-ში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველებმა, გასულ კვირას, მერიის წინ საპროტესტო აქციაც გამართეს.

„არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, ან საერთოდ წაგვართვან ეს შენობა, ან დაგვიკანონონ და ხელი შეგვიწყონ, ნორმალურ პირობებში გავზარდოთ ჩვენი შვილები. გაუსაძლის პირობებში ვზრდით ანგელოზივით ბავშვებს, ისღა დაგვრჩენია შვილები მერიის წინ დავტოვოთ და მერიამ აიღოს მათზე პასუხისმგებლობა,“ — აცხადებდნენ სოციალურად დაუცველები.

აქციის მონაწილეებს ქუთაისის მერიის საბინაო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კახა დალაქიშვილი ესაუბრა.

დალაქიშვილის განცხადებით, ყოფილ სამხატვრო შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველები უკანონოდ არიან შენობაში შეჭრილები, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ელექტროენერგია არ მიეწოდებოდათ.

დალაქიშვილსა და სოციალურად დაუცველებს შორის შეთანხმება შედგა. მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეხმაროს სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

„ამ ხალხს დავემხარებით და დავაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნას — ელექტროენერგიას მივაწოდებთ. ამასთან დაკავშირებით „ენერგო პრო ჯორჯიაში“ განცხადება გვაქვს დაწერილი. ამ დრომდე მხოლოდ იმიტომ ვერ მოვახერხეთ დახმარება, რომ ისინი ყოფილ სამხატვროს შენობაში უკანონოდ არიან შეჭრილი,“ — განაცხადა კახა დალაქიშვილმა.

მისივე თქმით, ასეთი ოჯახი ქუთაისში 700-მდეა და თითოეულ მათგანს უამრავი პრობლემა აწუხებს.

დალაქიშვილის თქმით, შემდგომში მერია ქუთაისში საბინაო ფონდის შექმნის კუთხითაც იმუშავებს.

ყოფილ სამხატვრო სკოლაში შესახლებული სოციალურად დაუცველები დანაპირების შესრულების მოლოდინში არიან, ისინი იმედოვნებენ, რომ ევროპელობის ამბიციით გაჟღენთილი საქართველოს შვილები შემდეგში, სინათლის დანახვისას არ იკითხავენ, თუ რა არის ის რაღაც, რაც გზას უნათებს. თუმცა, ეს „რაღაც“ მათთვის ასეთი სანატრელი გამხდარა.

**ჟანა ჯანელიძე**

# რატომ ითხოვენ „ქუთაისის მადლიერების სახლის“ აიპის გაუქმებას?

„ქუთაისის მადლიერების სახლის“ თანამშრომელთა სახელფასო ფონდი უკმაყოფილების მიზეზი ხდება. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის წევრები ქუთაისის მერიასთან არსებული აიპი „ქუთაისის მადლიერების სახლის“ გაუქმებას ითხოვენ. პარტიის თავმჯდომარის გოგი წულაიას განცხადებით, მერიის სხვა აიპების მსგავსად მადლიერების სახლიც ახლობლებისა და ნათესავების დასასაქმებლად შეიქმნა „ნაციონალების“ მიერ და ახალი მთავრობაც განაგრძობს აიპების შენახვას და ძველი კადრების მათი ნათესავებით ჩანაცვლებას.

„ამ ქალაქში ადმინისტრაციული რესურსით მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ და „ოცნება“ სარგებლობს. გაიყვეს ქალაქი ჯიგრულად. მერიაში და მასთან დაქვემდებარებულ აიპებში ჯერ კიდევ „ნაციონალები“ არიან დასაქმებულნი. რაც კარგი რესურსია საარჩევნოდ. ამით კარგად ჩანს რა, მიზნითაც შეიქმნა აიპები. თუნდაც „მადლიერების სახლი“, რომლის ბიუჯეტიც 527 600 ლარია და საიდანაც 144600 ლარი სახელფასო ფონდზე მოდის. აღნიშნულ აიპში 31 ადამიანია დასაქმებული, წარმოუდგენელია რაში სჭირდება „მადლიერების სახლს“ ამდენი თანამშრომელი? ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული თანხა 700 ბენეფიციარის კვებას მოახმარონ, ბიუჯეტის საკმაოდ დიდ ნაწილს ხელფასებში ინაწილებენ,“ — განაცხადა გოგი წულაიამ.

პარტიის წევრები ასევე მოითხოვენ, გაუქმდეს „ქუთაისის მადლიერების სახლის“ — აიპი და მერიამ ტენდერი გამოაცხადოს, გამარჯვებული კომპანია კი მეტი თანხით უკეთ მოახერხებს ბენეფიციართა მომსახურებას.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

psnews.ge

## რეზო ინანიშვილის პიესებადქცეული თხზულებები №31 საჯარო სკოლის „მსახიობების“ შესრულებით

2014 წლის 27 მარტს ქალაქ ქუთაისის №31 საჯარო სკოლაში VII[1] კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი ქართულ ლიტერატურაში „ჩვენ პიესებით ვლაპარაკობთ“ (მასწავლებელი ეკა დევიძე).
მოსწავლეებმა წარმოადგინეს რევაზ ინანიშვილის თხზულებების მიხედვით დადგმული სპექტაკლები „ჩიტების გამომზამთრებელი“ და „ტყის შვილები.“
წარმოდგენას აკვირდებოდნენ ექსპერტები, რომლებმაც შეაფასეს „მსახიობები“ და გამოავლინეს გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში.
როლური თამაშით მოსწავლეებმა განივითარეს და გამოიმუშავეს ინფორმაციისა და გამოცდილებების გადმოცემის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ემპათიისა და კომუნიკაციური, თვითრეფლექსიისა და თვითრეალიზების უნარები.





## „გააგრძელე დისკუსია“ მე-17 საჯარო სკოლაში

2014 წლის 27 მარტს სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში გაიმართა დისკუსია თემაზე „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დისკრიმინაცია და ტოლერანტობა“.

პროექტი „გააგრძელე დისკუსია“ მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ტოლერანტობის ამაღლებას მათთვის ინფორმაციის მიწოდებით დისკრიმინაციის მისი სამართლებლივი რეგულირების, საერთაშორისო და შიდასაკანონმდებლო სტანდარტების შესახებ. პროექტის უმთავრესი ამოცანაა წამოვიწყოთ და გავაძლიეროთ დისკუსია იმ ჯგუფებთან დაკავშირებით, რომლებიც არიან დისკრიმინირებულნი.



# სკოლა და მათემატიკის ოლიმპიადები

**მათემატიკურ შეჯიბრებს თუ ორთაბრძოლებს დიდი ხნის ისტორია აქვს... ჩვენამდე მოუღწევია ლეგენდად ქცეულ ამბავს შუა საუკუნეებიდან — თითქოს ერთ-ერთი ასეთი ორთაბრძოლის დროს, რომ არ დამარცხებულიყო, ცნობილი იტალიელი მათემატიკოსი ნიკოლო ტარტალია იძულებული გამხდარა, ეპოვნა თუ აღმოეჩინა მესამე ხარისხის ალგებრული განტოლების ზოგადი ამონახსნი...**

**მეცნიერული აღმოჩენები ღვთის წიგნის იმ ფურცლების წაკითხვას ჰგავს, ყველას რომ არ ძალუძს და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომელთაც ღმერთმა ნიჭიც მიჰმადლა და შრომისმოყვარეობაც, რათა ცხოვრების წუთისოფელში ერთხელ მაინც დაეძახა არქიმედესეული — „ევრიკა“, — აბანოდან გამოქცეული, შიშველი რომ ამცნობდა ყველას საკუთარ აღმოჩენას...**



შოთა ღვინეფაძე



მიხეილ მებონია



ლერი ბანცური



აკაკი მარგველაშვილი

...XX საუკუნის ოცდაათიან წლებში მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში პირველად ტარდება სასკოლო მათემატიკური ოლიმპიადები. II მსოფლიო ომის შემდეგ კი, 1959 წლიდან, რუმინეთის ინიციატივით, მაშინდელ სოციალისტურ ბანაკში ტარდება მოსწავლეთა საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადები(IMO), რომელშიც ყოფილი საბჭოეთი ერთვება 1963 წლიდან, კაპიტალისტური ქვეყნები — კიდევ უფრო მოგვიანებით. 1961-66 წლებში საბჭოთა კავშირში ტარდება სრულიად რუსეთის, ხოლო 1967 წლიდან (პირველად თბილისში) ჩატარებას იწყებს საკავშირო მათემატიკური ოლიმპიადები, რომლებიც 1992 წლამდე ტარდება (ბოლო, რიგით 26-ე საკავშირო ოლიმპიადა ჩატარდა ალმა-ატაში, საქართველოს ნაკრებს მასში მონაწილეობა არ მიუღია. შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლის გამო ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებელი გუნდით ასპარეზობს საერთაშორისო ოლიმპიადაზე).

საქართველო 1993 წლიდან დამოუკიდებლად ერთვება მსოფლიოს ამ ფორუმში და, აი, უკვე 22-ე წელიწადია, მასში მონაწილეობს.

იმისათვის, რომ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოხვედრილიყო, 1992 წლამდე ქართველი მოსწავლე საკავშირო ნაკრებში 8 საუკეთესოში (1980 წლიდან 6-ეულში) უნდა შესულიყო. ეს შრომატევადი, მძიმე ამოცანა იყო, რასაც თავის დროზე წარმატებით გაართვეს თავი, მაგალითად, ძმებმა ამირან და მურმან ამბროლაძეებმა (1976, 1979 წწ).

საკავშირო ოლიპიადაზე საქართველოდან ყოველწლიურად 3-4 მოსწავლე იგზავნებოდა, VIII, IX და X კლასიდან (მოგვიანებით IX, X და XI კლასიდან). პირობითად, ვიდრე ჩვენი სკოლის სტატისტიკას მივყვებოდეთ, შეგვიძლია დავყოთ ისტორია ორ ნაწილად, 1992 წლამდე (ანუ საბჭოეთის ეპოქა) და 1993 წლის შემდეგ, ანუ დამოუკიდებლობის ეპოქა...

ავღნიშნოთ ასევე, რომ ამ ტიპის ოლიმპიადების მიზანმიმართულად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ პროფესორებს და აკადემიკოსებს, როგორებიც იყვნენ: ბორის დელონე, ანდრეი კოლმოგოროვი, ისააკ გელფანდი, ავთანდილ ბენდუქიძე და სხვები...

1974 წლიდან, ანუ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის დაარსებიდან (ამჟამინდელი სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა), მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებას კურირებდნენ ბატონები ზურაბ ხმელიძე და ივლიანე ნაჭყებია, ვახტანგ ჯავახაძე და აგლაია აბზიანიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ალიოშა გოგელიას კურირებით, მიზანმიმართულამა შრომამ რა ნაყოფიც გამოიღო იქედან ჩანს, რომ სკოლის პირველი გამოშვებიდან ოცეულზე მეტია მაღალი რანგის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

ჩვენ შევეცდებით, არცერთი გამოგვრჩეს შემდგომ სტატიებში, დღეს კი მხოლოდ ოლიმპიადაში გამარჯვებულებს ჩამოვთვლით, თანაც მხოლოდ საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე...

1981 წელს პირველად კვალავს საკავშირო ოლიმპიადის გზას სკოლის VIII კლასის მოსწავლე გია შარიქაძე (პედაგოგი ზურაბ ხმელიძე), შემდეგ 1982, 1983 და 1984 წლებში ზედიზედ სამჯერ საკავშირო ოლიმპიადაზე იმარჯვებს გენადი მარგველაშვილი... (პედაგოგი ივლიანე ნაჭყებია).

1987-1988 წლიდან სკოლაში მუშაობას იწყებს მათემატიკის წრე სკოლის კურსდამთავრებული ბატონი გოჩა გოქაძის ხელმძღვანელობით, შემდგომი წარმატებები (1994-1995 წლამდე) ამ წრის აღსაზრდელების დამსახურებაა.

სწორედ ამ წრის აღზრდილია ბატონი გიორგი ონიანი (პედაგოგი აგლაია აბზიანიძე), რომელიც საკავშირო ოლიმპიადაზე ზედიზედ სამჯერ იმარჯვებს, ასევე ხდება ჟურნალი „კვანტი“-ს კონკურსის გამარჯვებული (1988, 1989, 1990 წ.წ საკავშირო ოლიმპიადები).

1989 წელს რიგაში ჩატარებულ საკავშირო ოლიმპიადაზე სკოლიდან ერთბაშად ორი მოსწავლე წავიდა — გიორგი ონიანთან ერთად ამ ოლიმპიადაზე წარგზავნილია აგრეთვე სკოლის IX კლასელი ჯეირან ლიფარტეიშვილი (პედაგოგი ნანა გაბადაძე).

შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აქ ამოიწურა პირველი, ე.წ. საბჭოთა ეპოქა, როცა სკოლის მოსწავლეები ჯერ ვერ ხვდებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიადაზე. დავძენთ, რომ ბატონმა გიორგი ონიანმა, შემდეგში ყველაზე ახალგაზრდამ ქართველ მათემატიკოსთა შორის, დაიცვა სადოქტორო ხარისხი, რამდენიმე წელი წარმატებით უძღვებოდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ასევე წარმატებულად აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას (ამ სტატიის ავტორმა, სწორედ ბატონი გიორგი ონიანის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია).

1993 წელს სტამბოლში საქართველოს ნაკრები პირველად გამოვიდა საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი გუნდით (გუნდი 6 მოსწავლისგან კომპლექტდება) და ამ გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩვენი სკოლის მოსწავლე დათო გაბელაიაა.

1994 წელს ექვსეულში უკვე ორი ჩვენი სკოლელია, დათო გაბელაია (ბრინჯაოს მედალი) და ლაშა ჯიქია (ორივე მათგანის წრის ხელმძღვანელი გოჩა გოქაძე).

1995 წლიდან გოჩა გოქაძე ტოვებს სკოლას, წრის მეცადინეობები კი მიჰყავთ პროფესორ გახა ონიანს და გენადი მარგველაშვილს (სამწუხაროდ, გახა ონიანი ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიაში, იგი ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე იყო, I გამოშვება).

სწორედ მათი ხელმძღვანელობით 1999 წელს რუმინეთში ჩატარებულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც საიუბილეოა (რიგით 50-ე), ამ წერილის ავტორმა ბრინჯაოს მედალი ავიღე, ხოლო 2000 წელს მე და მიხეილ მებონია (პედაგოგი გენადი მარგველაშვილი) უკვე ერთად ვმონაწილეობდით სამხრეთ კორეის ქალაქ ტაჯონში გამართულ 51-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე.

განსაკუთრებულ წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ 2001 წელი, როცა 6 მონაწილეს შორის 4 ჩვენი სკოლიდანაა (თუმცა მიხეილ მებონია, ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, უკვე თბილისშია გადასული საცხოვრებლად). ესენია მიხეილ მებონია — ვერცხლის მედალი, შოთა ღვინეფაძე — ბრინჯაოს მედალი (პედაგოგები პაატა მაღლაკელიძე და ზურაბ ხმელიძე), ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი (პედაგოგი ბაჩუკი ხიზანეიშვილი) და შალვა სახელაშვილი (პედაგოგი გენადი მარგველაშვილი) (ოლიმპიადა ჩატარდა ვაშინგტონში, აშშ).

2002 წელს ნიკამ და შოთამ ამჯერად შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში ბრინჯაოს მედლები აიღეს. აღსანიშნავია, რომ ამ წელს დელეგაციის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ონიანია, რომელიც რექტორად დანიშვნის გამო ვეღარ მიჰყვება გუნდს შემდეგ წლებში.

2003 წელს ნიკა ჯიმშელეიშვილმა ტოკიოში (იაპონია) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2004 წელს ათენში (საბერძნეთი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ავთანდილ რუხაძემ (პედაგოგი ავთანდილ ჯიშკარიანი).

2006 წელს ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა საერთაშორისო ოლიმპიადიდან აკაკი მამაგეიშვილი (პედაგოგი ბაჩუკი ხიზანეიშვილი), ხოლო გიორგი ნადირაძემ (პედაგოგი გენადი მარგველაშვილი) სიგელი აიღო.

2007 წელს გიორგი ნადირაძემ ბრინჯაოს მედალი აიღო.

2008-2009-2010 წლებში საერთაშორისო ოლიმპიადაზე სამჯერ იყო ცოტნე ტაბიძე (პედაგოგები გენადი მარგველაშვილი და ნანა გაბადაძე), აქედან ორჯერ იგი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა, ხოლო ერთხელ სიგელი მოიპოვა.

2010 წელს საერთაშორისო ოლიმპიადაზე სიგელი აიღო ნოდარ ამბროლაძემ (პედაგოგი გენადი მარგველაშვილი). 2011 წელს კი თორნიკე აბულაძემ (პედაგოგი ავთანდილ ჯიშკარიანი).

2011-2012-2013 წლებში სამჯერ მიიღო საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა აკაკი მარგველაშვილმა (პედაგოგი გენადი მარგველაშვილი), აქედან ორჯერ ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა, ერთხელ კი სიგელით. აღსანიშნავია ასევე, რომ აკაკიმ ორი მედალი (ოქრო და ვერცხლი) ჩამოიტანა ჟაუტიკოვის სახელობის საერთაშორისო ოლიმპიადიდან, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ყაზახეთის ქალაქ ალმა-ატაში სკოლებს შორის და რომლებზეც მოგვიანებით სხვა სტატიებში მოგახსენებთ.

ასე რომ, თუ 1993 წლიდან ვიანგარიშებთ, სკოლის მოსწავლეებმა საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადებზე მოიპოვეს 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 12 ბრინჯაოს მედალი. ეს მხოლოდ მათემატიკაში.

ასევე ორი საერთაშორისო გამარჯვება ხვდა წილად სკოლის მოსწავლეებს საერთაშორისო კონფერენციებში, სადაც დაჯილდოვდნენ სკოლის კურსდამთავრებულები — გურამ შვანგირაძე (ვერცხლის მედალი, ალმა-ატა, ყაზახეთი) და რევაზ ხურცილავა.

ამჯერად მათემატიკურ წრეებს სკოლაში ატარებენ ავთანდილ ჯიშკარიანი, პაატა მაღლაკელიძე, ლერი ბანცური, გიორგი ბრეგვაძე, გენადი მარგველაშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, მაგდანა პაპიძე, მაია ყურაშვილი, თინათინ სვანიძე, ნელი თედორაძე. მეცადინეობები მიმდინარეობს მე-3-დან მე-11 კლასის ჩათვლით, როგორც საკვირაო სკოლაში, ასევე მათემატიკის წრეზე.

გვყავს იმედისმომცემი მოსწავლეები.

დაე, მათმა წარმატებებმაც არ დაახანონ, გამარჯვებები ვუსურვოთ მათ.

კიდევ ერთხელ გვსურს აღვნიშნოთ, რომ სტატია მხოლოდ ოლიმპიადის ბოლო ეტაპზე (საკავშირო თუ საერთაშორისო) გამარჯვებულებს მივუძღვენით, რა თქმა უნდა, პატივს მივაგებთ ყველას, ვინც რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე გამოდიოდა წარმატებით, ასეთები ასეულზე მეტია, მათ შორის კი ფრიად წარმატებული პროფესორები და საზოგადო მოღვაწენი.

მათზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა სტატიებში მოგითხრობთ.

**ლერი ბანცური**

**მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## გოგი რევიშვილი:
# „ზვიადი იყო პირველი ვიოლინო, რომელმაც ააჟღერა და გააღვივა თავისუფლების სურვილი ერში!"

## 31 მარტი — პირველი პრეზიდენტის და პირველი რეფერენდუმის დაბადების დღე

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ქართული ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის იუბილე და მის მიერ ჩატარებული რეფერენდუმი – ამ ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს საქართველოს უახლეს ისტორიაში 31 მარტი აერთიანებს.**



1991 წლის 31მარტს საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ჩაატარა რეფერენდუმი, საერთო სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე – „ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე".

ეს იყო რეფერენდუმის ერთადერთი კითხვა, რომელზეც დადებითად გაცემულმა პასუხების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადებას ჩაუყარა საფუძველი.

ზუსტად 23 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მხარი დაუჭირა, მოვლენა, რომლითაც რეალურად ქართველმა ხალხმა უარი თქვა სსრ კავშირის მემკვიდრეობაზე. მარტო იმიტომ, რომ ქართული ნება მოსკოვის კრემლის იმპერიულ სტილში არ ჯდებოდა, ეს დღე რუსულმა მასმედიამ „ტყუილის დღედ" შერაცხა.

სსრ კავშირის მემკვიდრეობაზე უარის თქმისა და რეფერენდუმის პასუხების შემდეგ დღის წესრიგში ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება დადგა და რადგან სულ რაღაც 9 დღეში დგებოდა 9 აპრილი ქართველი ერისთვის ორმაგი განცდის, მწუხარების და სიამაყის შემცველი თარიღი, სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ სწორედ 1991 წლის 9 აპრილი დასახელდა.

რეფერენდუმიდან 23 წლის შემდეგ თავად ამ თარიღის და მისი მთავარი ფიგურის შესახებ მოგონებებს აცოცხლებს ადამიანი, რომელიც იმ პერიოდის მოვლენების ცოცხალ მემატიანედ შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც საქართველოს პირველ პრეზიდენტთან, ზვიად გამსახურდიასთან 20-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა.

64 წლის ქუთაისელი, გოგი რევიშვილი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური ფიგურა იყო. ადამიანი, რომელიც, როგორც თავად ამბობს, არასდროს ყოფილა ზვიადისტი, მაგრამ ყოველთვის იყო ზვიადის ახლო მეგობარი.

ბატონი გოგი რევიშვილი პროფესიით რუსული ენის სპეციალისტია. ის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო სინქრონული თარჯიმანი გახლდათ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის ტურისტულ ბიუროში მუშაობდა და უცხოელ თუ ქართველ ტურისტებს მისი ქვეყნისა და ქალაქის ისტორიულ წარსულს უამბობდა.

ბატონ გოგის ძალიან ბევრი საინტერესო მოგონება აკავშირებს ეროვნულ მოძრაობასა და მის ლიდერებზე, სწორედ ამიტომ ჩვენი ექსკლუზივიც მასთან ამ მოგონებების შესახებ საუბრით დავიწყეთ.

**— ბატონო გოგი, როგორ და რა ვითარებაში გაიცანით ზვიად გამსახურდია?**

— მე სიონის ტაძრის მრევლი ვიყავი, ზვიადის პირველად იქ შევხვდი. ხშირად დადიოდა სიონში, მოვიდოდა, დადგებოდა კუთხეში და ლოცულობდა. მაგრამ მასთან მისვლა და გამოლაპარაკება ადვილი არ იყო, რადგან ზვიადი კონტაქტში ძნელად შედიოდა უცხოსთან, არა იმიტომ, რომ უკადრისი იყო, უბრალოდ, ძალიან ფრთხილობდა, ეჭვიანი იყო. მერე ოფიციალურად ის ვალენტინა ფაილოძემ გამაცნო, ეს



„P.S. ფოტო" (ეკა შალამბერიძე) ©

გოგი რევიშვილი

ქალბატონი ეროვნული მოძრაობის წამყვანი მანდილოსანი გახლდათ, რის გამოც, ხშირად აპატიმრებდნენ. ზვიადის მალე დავუახლოვდი, ის მაწვდიდა სხვადასხვა ლიტერატურას, „ოქროს საწმისი" „მოამბე", კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს და ასე შემდეგ, მალე ჩვენ შორის საერთო იდეები და მსოფლმხედველობა გაჩნდა.

**— კონკრეტულად რა გაერთიანებდათ, რამ განაპირობა თქვენი 20-წლიანი მეგობრობა?**

— ჩვენ ნათელი იდეები გვაერთიანებდა, საქართველოს დემოკრატიული წინსვლა და ჰუმანური იდეები, ამ იდეებმა გაახშირა ჩვენს შორის შეხვედრები და ამ შეხვედრებმა სტიქიური სახე მიიღო. ზვიადი მოდიოდა ჩემთან ოჯახში მერაბ კოსტავასთან ერთად. ვსაუბრობდით, ვგეგმავდით, იყო მცირე სუფრებიც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზვიადი არასოდეს მინახავს ბოლომდე ლაღი, მხიარული და გახსნილი, რაღაცას ყოველთვის იტოვებდა თავისთვის, გულჩათხრობილი იყო და სუფრაზე არც დიდად მომლხენი და იუმორით გამორჩეული, რასაც ვერ ვიტყვი მერაბ კოსტავაზე. ის იყო აქტიური, მომლხენი და ჰქონდა ძალიან კარგი იუმორი. საერთოდ, მერაბი ზვიადს ძალიან აბალანსებდა. მისი საეჭვო დაღუპვით ზვიადმა ძალიან ბევრი დაკარგა, გამოეცალა სერიოზული დასაყრდენი, შეიძლება ითქვას, რომ კოსტავას გარეშე დარჩენილ ზვიადს მუხრუჭები მოეშალა. ადამიანი, რომელიც ზვიადს აბალანსებდა, ზვიადი მეტ-ნაკლებად ჩქარი იყო და, ზოგჯერ, ამ სიჩქარით შეცდომებს უშვებდა.

**— თქვენ ზვიადს ძალიან კარგად იცნობდით. რა მიგაჩნიათ მის მიერ დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომად?**

— ზვიადი იყო პირველი ვიოლინო, რომელმაც ააჟღერა და გააღვივა თავისუფლების სურვილი ერში. მაგრამ ჰქონდა ძალიან ბევრი შეცდომაც, როდესაც გახდა რა პირველი კაცი, რატომღაც გაუჩნდა განცდა, რომ ყველა მისი მოწინააღმდეგე იყო, მათ შორის მოიაზრა ინტელიგენციაც და მათ წინააღმდეგაც გაილაშქრა. შეცდომა მისი მხრიდან იყო ისიც, რომ მის ირგვლივ არასწორად შერჩეული ხალხი შემოიკრიბა.ზვიადი იყო ერთ-ერთი მომხრე იმისა, რომ მაჰმადიან ქართველებს საქართველოში სრულფასოვნად ეცხოვრათ, მაგრამ შედგა რა ტრამპლინზე, რატომღაც ამ მხრივაც პოზიციები შეიცვალა. ასევე უარყოფითი პასუხი მახსოვს მისგან ქვეყნის ტურისტული განვითარების თაობაზე. 1991 წელს, ტურიზმის თვალსაზრისით, ქვეყანაში ურთულესი მდგომარეობა იყო, როცა მე მას ამის შესახებ ვუთხარი, მიპასუხა: „ტურიზმი საქართველოს არ სჭირდება, ეს ქვეყნისთვის ამღრევი და დამღუპველია".

**— ზვიადის დადებით თვისებებად რას გაიხსენებთ?**

— ზვიადი მართლა იყო ქვეყანაზე შეყვარებული და გულწრფელად სურდა დამოუკიდებლობა, იყო უზომოდ განათლებული, ფლობდა რამდენიმე ენას, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ზვიადის ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის პატრიარქად კურთხევის საქმეში, ის მეგობარი იყო ილიასი და იყო დიდი მომხრე, რომ ის გამხდარიყო პატრიარქი და იყო ბოლომდე ჩართული იმ ბრძოლაში, რასაც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა ერქვა, ჩვენ ერთად ბევრი გადავიტანეთ. იმ დროს იყო „კაკებეშნიკი" ნიკო იობაშვილი, რომელიც გვავიწროებდა. სწორედ ამ მოძრაობის წევრობის გამო, ერთხელ გია ჭანტურიასთან ერთად მიტინგზე მივდიოდით, ბათუმში დაგვაკავეს. ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად უმოწყალოდ გვცემეს, ამას პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო საქართველოს იმპერიული მარწუხებისგან გათავისუფლების სურვილი, ეროვნული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა.

ქუთაისში ცხოვრობდა ერთი ასეთი ქალბატონი მარგალიტა თვალაძე, რომლის ოჯახშიც ყველაზე ხშირად დადიოდა ზვიად გამსახურდია.ის ცოტა ხნის წინ, ასი წლის ასაკში გარდაიცვალა და ძალიან გულსაწყვეტია, რომ მისი დამსახურების მქონე ქალბატონს დაფასება არ ჰქონდა. მის გარდაცვალებაზე არაფერი თქმულა.

ჩვენ მარგალიტასთან ვიკრიბებოდით და იქ ხდებოდა საუბრები მოძრაობის სამოქმედო გეგმებზე, საკუთარი ფინანსებითაც ბევრჯერ დახმარებია ის ზვიადს, გია ჭანტურიას და, საერთოდ, თავგადაკლული მებრძოლი იყო ამ მოძრაობისა.

როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ კრახი განიცადა, მარგალიტას მიმართ ენით უთქმელი შევიწროვებები ხდებოდა, სახლში უვარდებოდნენ, აწამებდნენ, აყაჩაღებდნენ. იყო ძალიან მორწმუნე და ჰქონდა უამრავი ხატი, ზვიადს ძალიან უყვარდა იქ განმარტოება და ლოცვა.

**— ვინ იყვნენ ქუთაისის ეროვნული მოძრაობის ყველაზე აქტიური და ერთგული წევრები?**

— ლია კაცაძე, სოსო ანდრიაძე, ჯემალ ფხაკაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთა სახელები და გვარები წითელ ზოლად გასდევს ეროვნულ მოძრაობას, ისინი ცხოვრობდნენ ამ მოძრაობის ცხოვრებით და ყოველ წუთს მზად იყვნენ, საკუთარი სიცოცხლით გადაერჩინათ მოძრაობა. კოსტავას თავისუფლება რას ეწირებოდა წლობით? სწორედ ამ მოძრაობის მიმართ ერთგულებას, სხვა მას არაფერი დანაშაული მიუძღოდა, ის თავისი ეროვნული იდეებით შოვინისტური რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ აცლიდნენ ამ დასაყრდენს მოძრაობას, ის მოსკოვის კრემლის პირადი პატიმარი იყო. მე, სოსო ანდრიაძემ და ჯემალ ფრუიძემ ტელეგრამა გავუგზავნეთ ელცინს, სადაც ვუსაბუთებდით, რომ კოსტავას პატიმრობა იყო სრული უსამართლობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისგან პასუხიც მივიღეთ. ჩვენი ტელეგრამის შედეგად მოხდა ის, რომ მერაბ კოსტავა ანგარსკის ციხიდან საქართველოს საპატიმროში გადმოიყვანეს, რაც ფაქტობრივად, თავისუფლების ტოლფასი იყო.

**— 31 მარტი ორი მნიშვნელოვანი თარიღია. რას ნიშნავს თითოეული მათგანი თქვენთვის?**

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და ისტორიული თარიღია. ზვიადი თავისი სწორი სტრატეგიებით და შეცდომებით არის უმნიშვნელოვანესი თავფურცელი ქართული ისტორიისა, რომელიც თაობებს უნდა გადაეცეს.

**ეკა შალამბერიძე**

## ირაკლი ღარიბაშვილი: „გამოვდივარ ინიციატივით, კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა"

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ინიციატივით გამოდის, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნული ინიციატივით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მთავრობის სხდომის დასაწყისში მიმართა.

პრემიერის შეფასებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი ასახავს ქართველი ხალხის შემწყნარებლობის ტრადიციას, რომლის თანახმადაც, განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების და განსხვავებული ცხოვრების წესის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდი-გვერდ მშვიდობიანად ცხოვრობენ.

„შესაძლოა, იყოს განსხვავებული მიდგომები და არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება, გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე მოიქცა ლატვია, შარშან კი — ხორვატია, ევროკავშირში შესვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება. ვფიქრობ, სასურველია ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის არსებობა. ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების არც ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რაც უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით," — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ოჯახის დეფინიციის კონსტიტუციით გამყარების ინიციატივა განხილული და მოწონებულია კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს მიერ.



# კვერცხის ქართველი მწარმოებლები იმპორტიორებს საქველმოქმედო აქციებით დაუპირისპირდებიან



**კვერცხზე გამოშვების თარიღის სავალდებულო მითითების მიუხედავად, კვერცხის მწარმოებელი ქართული კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მაინც ვერ გაუმჯობესდა.**

როგორც bpn.ge-ს კომპანია „კუმისის“ დამფუძნებელმა, ზურაბ უჩუმბეგაშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება, რომ კვერცხს გამოშვების თარიღი დაეწეროს, იმპორტი საქართველოში 15%-დან 7%-მდე შემცირდა. თუმცა, ადგილობრივ მეწარმეებს რეალიზაციის პრობლემა მაინც აწუხებთ.

„ბაზარი გახსნილია უკრაინული, თურქული და ბელორუსიის პროდუქციისთვის. მათი ფასი ზუსტად იმდენივეა, როგორც ჩვენი, თუმცა, იმპორტიორები ამას არ დაგიდევენ. პროდუქტი შემოაქვთ, ხშირად ნახევარსაც ვერ ჰყიდიან, ბაზარზე ფასებს აგდებენ, რომ უფრო მეტი ზარალი თავიდან აიცილონ და შემდეგ გადიან. მათ ადგილს კი უკვე სხვა იმპორტიორი იკავებს. ჩვენც, სხვა გზა არ დაგვრჩენია, კვერცხი თვითღირებულების ფასად გავყიდოთ,“ — განაცხადა უჩუმბეგაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს კვერცხის ბაზარი მთლიანად გაჯერებულია, ადგილობრივ წარმოებას კი შეუძლია, მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილოს. ბაზრის დაცვის მოთხოვნით „საქართველოს მეფრინველეთა ასოციაციამ მთავრობას არაერთხელ მიმართა, თუმცა, უშედეგოდ.

აღდგომას ველოდებით, როცა ის ჩაივლის, კვერცხის სეზონი ზაფხულისთვის მოკვდება. მოგვიწევს, როგორც ყოველთვის, ან ერაყში გავიტანოთ ექსპორტზე ნახევარ ფასად, ამასთანავე, ჩვეული საზაფხულო ფასდაკლებები დავიწყოთ,“ — აღნიშნა მან.

როგორც „კუმისის დირექტორმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ერთი ყუთი კვერცხის ფასი 94,5 ლარია, მაისისთვის მას 65 ლარამდე გააიაფებენ, საიდანაც 5 ლარს მარკეტინგული ღონისძიებებისთვის დახარჯავენ.

„ინტენსიურად დავიწყეთ ქართული პროდუქციის რეკლამირება მასმედიაში. ამასთანავე, ვგეგმავთ სხვა საქველმოქმედო აქციებსაც: საპატრიარქოს ფონდში თანხებს გადავრიცხავთ, რომელიც ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს მოხმარდება,“ — განაცხადა „კუმისის“ დამფუძნებელმა.

bpn.ge

# შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“ პარტნიორებს

**საქართველო**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**„აქტივი“**
მის. ქუთაისი, ჭყონდიდელის 46
ტ. 597 60 21 00

**Georgia**
**LTD**
**„AKTIVI“**
Kutaisi chkondideli str. 46
T. 597 60 21 00

**17 მარტი 2014 წელი**
**ლიცენზია ზ№ბაფ/051**

## აუდიტორული დასკვნა

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ რეგისტრირებული შპს „აქტივი“-ს აუდიტორ (ლიცენზია ზ№ბაფ/051) ირაკლი რუხაძისა და ამავე ფირმის სპეციალისტის მურმან კობახიძის მიერ.

აუდიტის საგანია შპს მიკროსაფინანსო ორდანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 412675779) 2013 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

შემოწმება ჩატარდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. საზოგადოებაში ფინანსური ოპერაციების ძირითადი ასპექტების შემოწმება მოხდა შერჩევით.

აღრიცხვის ფაქტიური მდგომარეობის შემოწმების მიზნით წარმოდგენილი იქნა აღრიცხვის ყველა საბუთი. შემოწმდა საბიუჯეტო და სხვა ფონდების დარიცხვა, გადარიცხვის სისწორე, ხელფასები, სალარო და საკასო ოპერაციები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საზოგადოებაში აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღრიცხვა მოწესრიგებულია.

ვუდასტურებთ წარდგენილ საფინანსო მაჩვენებლებს.

დასკვნა დადებითია.

**შპს „აქტივი“-ს**
**აუდიტორი:** /ი. რუხაძე/
**სპეციალისტი:** /მ. კობახიძე/

| **მოგება ზარალის წლიური ანგარიშგება** | | |
|---|---|---|
| **2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | |
| საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“** | | |
| ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: **შპს** | | |
| მისამართი: **საქართველო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. N9** | | |
| საქმიანობის ტიპი: **სესხები, სავალუტო და სალომბარდო მომსახურეობა** | | |
| ზომის ერთეული: **ლარი** | | |
| | **31.12.2013** | **31.12.2012** |
| ამონაგები | 413 608,34 | 326 314,24 |
| სხვა შემოსავლები | 346 336,93 | 331 030,72 |
| **საერთო მოგება** | **759 945,27** | **657 344,96** |
| შრომის ანაზღაურება | (121 036,26) | (92 343,38) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | (21 327,51) | (17 756,30) |
| საგადასახადო ხარჯი | (361,94) | (432,47) |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | (485 281,16) | (399 276,94) |
| მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები | (65 480,85) | (50 738,21) |
| **სულ ხარჯები** | **(693 487,72)** | **(560 547,30)** |
| **მოგება/ზარალი დაბეგვრამდე** | **66 457,55** | **96 797,66** |
| მოგების გადასახადი | 9 968,63 | 14 519,65 |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი** | **56 488,92** | **82 278,01** |

| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | | | | |
|---|---|---|---|---|
| **2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | | | | |
| საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“** | | | | |
| ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: **შპს** | | | | |
| მისამართი: **საქართველო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. N9** | | | | |
| საქმიანობის ტიპი: **სესხები, სავალუტო და სალომბარდო მომსახურეობა** | | | | |
| ზომის ერთეული: **ლარი** | | | | |
| **აქტივები** | **31.12.2013** | | **31.12.2012** | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 49 545,32 | | 51 170,45 | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **49 545,32** | | **51 170,45** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| სულ მიმდინარე აქტივები | 945 621,08 | | 1 147 015,91 | |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | 258 685,67 | | 34 139,73 | |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 17 264,56 | | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **1 221 571,31** | | **1 181 155,64** |
| **სულ აქტივები** | | **1 271 116,63** | | **1 232 326,09** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| **კაპიტალი და რეზერვები** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 250 000,00 | | 250 000,00 | |
| წინა წლების მოგება/ზარალი | 96 578,65 | | 14 300,62 | |
| გაცემული დივიდენდი | - | | - | |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი | 56 488,92 | | 82 278,01 | |
| **სულ კაპიტალი და რეზერვები** | | **403 067,57** | | **346 578,63** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გადახდილი პროცენტები | | | | |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | | | 487,21 | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **-** | | **487,21** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| ნასესხები ფულადი სახსრები | 842 603,63 | | 870 305,77 | |
| დარიცხული ვალდებულებები | 13 001,12 | | 958,40 | |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | | | - | |
| საგადასახადო ვალდებულებები | 12 444,31 | | 13 996,08 | |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **868 049,06** | | **885 260,25** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **1 271 116,63** | | **1 232 326,09** |

# ჭიათურელი ოთარაანთ ქვრივი

## ჯონი თორღვაშვილის გმირობის ამბავი

**ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში უცნობმა ქალბატონმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. „სურვილი მაქვს, რომ ივანიშვილს მადლობა გადავუხადო გაზეთის საშუალებით და მინდა, რომ ჩაწეროთ," — მითხრა ომახიანად უცნობმა. დელიკატურად ავუხსენი, რომ გაზეთი ასეთ რამეს ვერ დაბეჭდავდა. ეს ადამიანი პოლიტიკურად აჟიტირებულად ჩავთვალე და მინდოდა, ჩვეული დიპლომატიური სვლებით გადამეფიქრებინა „გაგაზეთება", თუმცა მის მიერ ნათქვამი რამდენიმე წინადადების შემდეგ მივხვდი, რომ 21-ე საუკუნის ოთარაანთ ქვრივთან მქონდა საქმე.**

დაგეგმილი შეხვედრა რამდენჯერმე გადაიდო, თუმცა 22 მარტს, უჩვეულოდ თბილ დღეს დავთქვით ადგილი, სადაც შევხვდებოდით და ჩავწერდი ერთი ოჯახის ტრაგედიის ამბავს, რომელსაც გულგრილად ვერასდროს ვერავინ წაიკითხავს.

თორღვაშვილის ქუჩა ჭიათურის განაპირასაა. გზად გამომეგება ლალი (ლოლა) თორღვაშვილი, საოცრად მსუბუქად მოაბიჯებდა, ასაკის, ქვრივობისა და შვილმკვდარი დედის პირობაზე. „სახლში ჩემთან დავსხდეთ და ვისაუბროთ, თუ ეღირება გამოქვეყნებად, გამოაქვეყნეო", — მითხრა. მორჩილად გავყევი და წამიერად მომაცდევინა მაღაზიის წინ, საიდანაც მცირე პარკით შოკოლადები გამოიტანა. მივხვდი, რომ ეს იმერული მასპინძლობის ერთ-ერთი ელემენტი იქნებოდა და ავიწურე: სულაც არ მინდოდა ღია თალხ ტანსაცმელში გახვეული რესპონდენტი შეწუხებულიყო.

ვიდრე მის ბინას მივადგებოდით, რამდენიმე კითხვა პირაქეთ დამისვა და სასიამოვნოდ მაკვირვებდა ყველა შემხვედრის მისალმება: გამარჯობა, ლალი ბებია! გამარჯობა, ლალი! გამარჯობა, ლალი დეიდა! ყველა შემხვედრის პოზიცია მოწიწებულობას გამოხატავდა და მეც, ჩემდა უნებლიედ, მოკრძალებამ დამრია ხელი. ყველა თაობის ადამიანი თითქოს მას გზასაც უთმობდა და ღრმა პატივისცემას გამოხატავდა მისალმებისას. მორიგი გაოცება იმან გამოიწვია, ბინის გასაღები კორპუსის ფასადის შვერილიდან რომ აიღო. ესე იგი, არც ბინის გატეხვა-გაძარცვის ეშინია! — გავიფიქრე. ლალიმ სამოთახიანი ბინის კარი ყურთამდე გააღო და მიმიწვია. მომცრო ოთახი, ალბათ, 12 კვადრატული მეტრის ფართის იქნება. ორი კედელი გარდაცვლილი ახალგაზრდის მასშტაბური ფოტოებით თითქმის გავსებულია, კედელზე საბჭოური ხაკისფერი სამხედრო პერანგი ჰკიდია. მასზე რამდენიმე მედალი თუ ორდენია. პერანგს მტვერი ადევს, ოღონდ, მერე მივხვდი, რომ მტვერი საპატიო იყო და არა სიზარმაცის. ვეძებ კითხვას, რომელიც რესპონდენტს მთავარ სათქმელს ათქმევინებს, თუმცა, ლალი ბებო თავად იწყებს: „სამი ვაჟიდან ერთს ჯუმბერი დავარქვით. სხვა მინდოდა მის სახელად, მაგრამ არ მომცეს ნება. ჯონი მინდოდა, მაგრამ ეგ საზღვარგარეთული სახელია და დაბადების მოწმობაში ვერ გავატარებთო. ვითომც მსგავსობის გამო ჯუმბერი ვარჩიე ბოლოს. ალბათ, გაინტერესებს, რატომ ჯონი! ფეხმძიმობის დროს მესიზმრა: 25 წლის ჭაბუკი გამომეცხადა და მითხრა, რომ ვაჟი შემეძინებოდა, რომლისთვისაც ჯონი უნდა დამერქმია. ნასიზმრევი ახალგაზრდა ისეთი განსაკუთრებული გარეგნობის იყო, რომ ძილშივე ვფიქრობდი, თუკი სადმე შემხვდა, აუცილებლად ვიცნობ-მეთქი. მართლაც, ვაჟი შემეძინა და ყოველწლიურად ვატყობდი, რომ ნასიზმრევ ჭაბუკს ემსგავსებოდა ჩემი შვილი. 25 წლამდე 19 დღე აკლდა ჩემს შვილს, აფხაზეთში ნაღმზე რომ აფეთქდა..."

ალბათ, განსაკუთრებულადაც ზრდიდით, — ჩავურთე საუბარში. — სულაც არა. სამი შვილი კიდევ მყავს, ჯონის გარდა, მაგრამ ჯონი ბუნებით იყო გამორჩეული, არასდროს დამჭირვებია მასთან ზედმეტი საუბარი, იყო ბუნებით გაწონასწორებული, სამართლიანი და ძლიერი. ძლიერი არა მარტო ფიზიკური ძალით, არამედ - სულიერადაც. სულაც არ იყო ზორბა და ხორციანი, მოხერხებული და ჭკვიანი იყო.

***

1968 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა და არ მახსენდება, რომ მას ჩემთვის, თუნდაც, ერთი პატარა გულისტკივილი მოეყენებინოს. ელექტროტექნიკოსი იყო განათლებით, მაღაროში არ მინდოდა დაეწყო მუშაობა, მაგრამ მაინც დაიწყო. არ უყვარდა სხვის ხარჯზე არსებობა და ცხოვრება. ჩემი გაოცება მას ყოველთვის შეეძლო თავისი დამოკიდებულებით. გეცოდინებათ, ავღანეთში კომუნისტების დროს რომ გაჰყავდათ ჯარისკაცები, ჩემი შვილიც იქ მოხვედრილა, მაგრამ იქიდანაც კი მიფრთხილდებოდა: მატყუებდნენ მისი დავალებით, რომ მონღოლეთში იყო. ერთხელაც მეზობლის ქალები იყვნენ შემოსულები და ჯონის მიერ გამოგზავნილ ფოტოებს ვათვალიერებინებდი. ერთმა თათრის ქალმა უცებ თქვა: ლალი, ეტა ავგანისტან! ელდა მეცა, მაგრამ მეზობლის ქალებმა შემოსძახეს, რას ამბობ, მონღოლეთშიც ასეთი ადგილებია, ისიც უდაბნოაო! ბოლოს სიმართლე მაინც გავარკვიე. თუმცა, უკვე თითქმის ყველანაირი საშიშროება ჩავლილი იყო. დაბრუნდა ავღანეთიდან ჩემი შვილი. არ ვამბობ ტრაბახით და ისეთი გარეგნობა ბევრ ადამიანს არ ექნება! გორბაჩოვის ხელმოწერილი სიგელებიც აქ მაქვს შენახული (საგულდაგულოდ დაკეცილ ფურცლებს რუდუნებით ალაგებდა მცირე მაგიდაზე). ძალიან მძიმე მდგომარეობის გამო ჯონი მოსკოვში წაიყვანეს ფსიქორეაბილიტაციისთვის. ავღანეთში ნამსახურევ ადამიანებს ეს მკურნალობა აუცილებლად ესაჭიროებოდა და ერთი წელი იქ დაყო. მერე ჭიათურის კომისარიატში უნდოდა მუშაობის დაწყება, მაგრამ მაშინდელმა თავდაცვის სამინისტრომ ჩოლოყაშვილის ბატალიონში გაამწესა, ჭიათურის კომისარიატისთვის ზედმეტი ფუფუნება იქნება შენნაირი მეომარიო. ბატალიონის უფროსის მოადგილე იყო და ორჯერ აიღო მხოლოდ ხელფასი, მერე კი მომიკვდა გმირულად აფხაზეთში!

სიკვდილიცაა და სიკვდილიც. ქართველებს გმირობით ვერ გააკვირვებ. მარტო ჭიათურიდან 30 სამხედრო დაიღუპა აფხაზეთში და ორიც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება... ალბათ, ასეთმა ადამიანებმა მოიყვანეს ჩვენი ქვეყანა აქამდე. ჯონის მე გმირად არ ვზრდიდი, ის ასეთი ბუნებით იყო!



### ნაღმზე აფეთქებული ბიჭები

თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო საუბარი, მაგრამ ქალბატონმა ლალიმ მითხრა, ეგებ გაინტერესებთ, როგორ გარდაიცვალა ჩემი შვილიო. გულისყურით ვუსმენდი ტრაგიკულ ამბავს: — აფხაზეთში ბრძოლის დროს ჩემს შვილს გასაოცარი სიმამაცე გამოუჩენია თურმე. თანამებრძოლებს უთქვამთ, თუ როგორ გამოიყვანა სამშვიდობოზე უმეთაუროდ დარჩენილი კასპის ბატალიონის ბიჭები და სხვა ბევრიც, მაგრამ თავად როგორ აღესრულა, ეს არის ტრაგედია და სიამაყე ჩემთვის, რომელსაც, არ გაგიკვირდეთ და სიხარულიც ახლავს! აფხაზური მხრიდან ანდრონიკ ხაჩატუროვი დაუჭრიათ და ჩემს შვილს სამშვიდობოზე გამოუყვანია, მაგრამ მეორედ შებრუნებულა, რადგან თანამებრძოლი ლერი ბაინდურაშვილიც დაუჭრიათ. ჩემი შვილი კიდევ არავის სტოვებდა გასაჭირში. დაჭრილი ზურგზე მოიკიდა და რამდენიმე ნაბიჯილა აშორებდა სამშვიდობოს, როცა ფეხი დაადგა ნაღმს! ლერისთვის უთქვამს, ლერი, დროზე ეცადე და მომშორდი, მე რომ აქიდან ფეხი გადავდგა, ავფეთქდებით ორივეო! ლერიმ კი, აბა, როგორ ვიცხოვრებ, ჩემი გადამრჩენელი ნაღმს რომ შეგატოვოო. ასე აფეთქდნენ ერთ ნაღმზე თავდადებული ბიჭები! ამას თამებრძოლები რამდენიმე მეტრის დაცილებიდან უყურებდნენ და უსმენდნენ. ისე, რამდენჯერმე მივედი ლერის ოჯახში, თავად კი არ ისურვეს ჩემთან მოსვლა და მეც თავი დავანებე მათთან სიარულს, ასაკმა და ოპერაციებმა ჯანი დამისუსტეს (მაჩვენებს ხელთათმანიან ხელს, რომელსაც დეფორმაცია აქვს მიღებული უხეიროდ ჩატარებული ოპერაციის გამო). მერე ისიც გაიხსენა ლალი ბებომ, თუ როგორ სცემა ჯონიმ სამი მოძალადე მილიციელი ქალაქის ცენტრში. ვიღაც ახალგაზრდას სამივე სცემდა და გამოესარჩლა, რა დააშავა ასეთი, სამი კაცი ერთს რომ სცემთო. მილიციელებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჯონის და წამში სამივე ასფალტზე ეყარნენ. თვალიც კი ვერ მოვასწარი, როგორ დაცვივდნენ ისინი ძირს. მილიციაში დაიბარეს თანამშრომლების ცემის გამო, მაგრამ ამირან გაფრინდაშვილმა (მილიციის უფროსის მოადგილე) შეაქო: ვაჟკაცი ყოფილხარ, ეს სამივე კი გასაყრელები არიანო!

***

ჩამოსვენებიდან ათი დღის განმავლობაში მოსამძიმრეთა ნაკადი არ წყდებოდა, მაგრამ მერე მოსახდენი მოხდა - დავკრძალე შვილი და შვილმკვდარი დედის მძიმე ბედით დავდივარ ამქვეყნად, თავი ვერ მოვიკალი, საკურთხის გამკეთებელი ხომ მაინც სჭირდებოდა ჩემს შვილს? ჩემი ჯონი სიცოცხლეში წარდგენილი იყო გამოჩენილი მამაცობის გამო გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე, თუმცა თავდაცვის სამინისტროში მესამე ხარისხის მედალი მოგვცეს (ორდენის მოწმობა №00262 ხელმოწერილია შევარდნაძის მიერ და გაცემულია 1994 წლის 14 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე). ძალიან მეწყინა, რომ მითხრეს, სინამდვილეში ჯონის ორდენით სხვამ ისარგებლა, — ამოიოხრა ლალიმ.

ჩვენი საუბრის ფინალი მეგონა მალე მოახლოვდებოდა, მაგრამ ქალბატონმა ლალიმ გულისტკივილით ისაუბრა სააკაშვილის მმართველობის პერიოდზეც. კაპიკების ფასი პენსია არანაირად არ მყოფნიდა და სამჯერ გავუგზავნე წერილი პრეზიდენტს, ყურადღებაც არ მოუქცევია. ისიც კი უთქვამს, შევარდნაძის დროს დაღუპულებს კი არა, 2008 წლის ომის დროს დაღუპულებს თუ მივხედე, ისიც კარგიაო. ამ ქუჩას ადრე გიუნაშვილის სახელი ერქვა, მერე ჩემი შვილის სახელი მიანიჭეს, თუმცა ტრაფარეტები ჟანგიან მასალაზე იყო დამზადებული და კარგა ხანი ჩემს სახლში ინახებოდა. მერე საშველი დააყენეს მის გაკვრას და ახლა ძლივს იკითხება ნომრები მასზე, რადგან ჟანგმა ამოჭამა საღებავი. ჭიათურის ყოფილი გამგებლის, ჩიკვილაძის მმართველობის დროს მემორიალური დაფაც გააკეთეს, მაგრამ ის დაფა არ გავაკვრევინე და ვუსაყვედურე: იმ ტრაფარეტების მსგავსად ეგეც მალე გადაიცრიცება და არ მინდა ეგეთი-მეთქი (საღებავით იყო „გაკრასკული" დაფა). მერე დაფა შეცვალეს, ფოტოც კარგი ამოტვიფრეს, მაგრამ უხეირო ადგილას დადგეს მისი შინაარსიდან გამომდინარე. დაფა ზუსტად ჩემს სახლთან უნდა იყოს (ან სახლზე) და არა ასიოდე მეტრის დაშორებითო... (ამ საკითხზე დავეკითხეთ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სულხან მახათაძეს, რომელმაც აღგვითქვა, რომ ლალის სურვილის მიხედვით დადგამდნენ მემორიალურ დაფას).

— რატომ მითხარით, რომ ივანიშვილისთვის გინდოდათ მადლობის თქმა? - არ შეიძლება, სიტყვის კაცს არ დაუფასდეს თავისი ღვაწლი. ქუთაისში დიდი მიტინგი რომ ჩაატარა ბიძინამ, მაშინ მატარებლით ჩავედი ჭიათურიდან ქუთაისში. იქ თქვა: თავდადებულ გმირებს ღვაწლი უნდა დავუფასოთ და 2014 წლის 1 იანვრიდან 500 ლარი და 2015 წლიდან კი 1000 პენსიასთან ერთად უნდა მივცეთ მათ მშობლებსო. აასრულა კაცმა თავისი სიტყვა. ამით ჩემი შვილი კი არ გაცოცხლებულა, მაგრამ დიდი სიამაყის გრძნობა დამეუფლა, რადგან უყურადღებობა ყველაზე დიდი სატკივარია ჩემნაირებისთვის!

— დანარჩენი შვილები თქვენთან არ ცხოვრობენ? — არა, ისინი თბილისში არიან, ერთ ჩემს შვილიშვილს ჯონი დაარქვეს, თუმცა გამოვტყდები და ჩემი ჯონის სიკვდილის მერე დანარჩენების ერთად დანახვა არ შემეძლო, რადგან შაბათ-კვირას ადრე ერთად იყრიდნენ თავს და ჯონის ტრაგედიის მერე სამის დანახვა ტკივილს მიმძაფრებდა! ხუთი წელი ვერ ბედავდნენ ერთად მოსვლას ჩემამდე... აქამდე ძალიან ხელმოკლედ ვიყავი, შვილები და სიძე თან მყვებოდნენ, მაგრამ ახლა ჩემი ჯონის დამსახურებით არავის ხელის შემყურე აღარ ვარ! ამ ოთახში ჩემს შვილს უყვარდა ყოფნა, არაფერი შემიცვლია აქ. მხოლოდ ფოტოები დაემატა მისი გარდაცვალების მერე. სამხედრო ფორმაც არ გავრეცხე, არ შემიძლია. ეს ნაკეთობები მისი ნახელავია, რასაც აქ ხედავ. ეს იარაღი (თუ არ ვცდები, რევორველია ან პისტოლეტი) აქ დევს და არ ვიცი, რა უნდა ვუყო! ჩემს შვილს მისი ტარების უფლება ჰქონდა (იარაღის ტარების უფლება №291, რესპუბლიკის მთავარსარდლის ხელმოწერით).

***

რამდენჯერმე ვცადე, რომ დამესრულებინა შეხვედრა, თუმცა არ გამომდიოდა. ფილატელისტის, ოფიცრის, ხელოვანისა და, რაც მთავარია, კარგი შვილის შესახებ სურდა დედას საუბარი და მეც მოვალეობით კი არა, ინტერესით ვუსმენდი. მაინც დადგა დაშორების დრო და ვერ გაგიშვებ ეგრეო. სასწრაფოდ ლიქიორი გამოიღო კარადიდან, შოკოლადები კოხტად ცალი ხელით თეფშზე დაალაგა და უნდა დალიოო. ვინც ჩემს დამოკიდებულებას იცნობს ალკოჰოლისადმი, იცის, რომ მასთან დაახლოებული არ ვარ, მაგრამ ერთბაშად თავმოყრილმა ემოციებმა თავისი ქნა და შოკოლადიც დავაყოლე „საშობაო ლიქიორს". წამოსვლისას თეფშიდან ყველა შოკოლადი ჯიბეში ჩამიტენა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა! კარგა დიდ მანძილზე გამომაცილა რესპონდენტმა, თან უკვე ჭკუას მარიგებდა, ოჯახს მოეკიდე, სიცოცხლე უნდა გაგრძელდესო. რომ დაიბეჭდება, რამდენიმე ეგზემპლარი შემახვედრეო. ფულს მაძლევდა, მაგრამ არ გამოვართვი. დაცილებისას ერთ კორპუსზე მიმითითა, ამ ბინაში ავადმყოფი დედა-შვილი ცხოვრობენ, დღეს მე, თავად ხელნატკენმა, საჭმელი უნდა გავუკეთოო. მივხვდი უკვე, რომ 650 ლარს სადაც ხარჯავდა ჭიათურელი ოთარაანთ ქვრივი. მკურნალობა და ქველმოქმედება ამ ფულს მუსრს ავლებდა, მაგრამ ორივე საჭიროა, ერთი ხორცისათვის, მეორე — სულისათვის.

ჭიათურის იმ უბანს, ნაგუთი რომ ჰქვია, მარტის მზე ბარაქიანად ანათებდა და ათბობდა. ვინ იცის, რამდენჯერ შეგებებია ჯონი თორღვაშვილი სიხარულით მნათობს. თავად ჯონი კი ახლაც უთბობს ცივსა და ტკივილიან ცხოვრებას დედას, რომელიც ძალიან დიდ დროს ატარებს შვილის ფოტოებთან დაფიქრებული.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** საუკეთესო იქნება თუ დაეთანხმებით მათ, ვინც საკუთარ სიმართლეს დაჟინებით ამტკიცებს. უმჯობესი იქნება თქვენთვის დამთმობი იყოთ, მოთოკეთ სიჯიუტე.

**კურო:** თქვენს ზურგს უკან გაკეთებული კომენტარები, არც თუ უსაფუძვლოდ, თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს.

**ტყუპები:** მარტო ძნელია ყველაფერთან გამკლავება, ამიტომ შეეცადეთ მხარდაჭერა ახლობლებს სთხოვოთ. მით უმეტეს, რომ იდეები, რომლებიც თქვენ გეწვევათ განხორციელების შემთხვევაში გარშემომყოფებსაც დადებით ემოციებს მოუტანს.

**კირჩხიბი:** თქვენგან მაგალითს აიღებენ. თქვენი დაუზოგავი შრომა სამსახურში შესაბამისად დაფასდება, შესაძლებელია დაგაწინაურონ.

**ლომი:** ახლობლებს სითბო და მხიარულება აჩუქეთ, გააკეთეთ ის, რაც სხვებს ესიამოვნებათ, დახარჯეთ ფული საჩუქრებში. გარწმუნებთ, რომ ამას დაგიფასებენ.

**ქალწული:** უმჯობესია უფროსებს დაუგდოთ ყური, გაითვალისწინეთ რჩევა, რომელსაც მოგცემენ.

**სასწორი:** მოსალოდნელია ცხოვრებაში რადიკალურად შეცვალოთ რამე. თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღეთ პრინციპული გადაწყვეტილებები. ამ ყოველივეს რამდენად მშვიდად და უსაფრთხოდ გააკეთებთ, ეს მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.

**მორიელი:** წინ ცვლილების პერიოდია. ეცადეთ, სიახლე შეიტანოთ სახლის ინტერიერში, საკუთარ იმიჯში. მაქსიმალურად ერიდეთ კონფლიქტებს. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაანებივრეთ.

**მშვილდოსანი:** წინა დღეებში გართულებულ ურთიერთობებს სასურველი ფორმით წარმართავთ. თქვენი მიზანი იქნება, გამოასწოროთ შეცდომები.

**თხის რქა:** თქვენ შეიძლება გარშემომყოფთა ყურადრების ცენტრში აღმოჩნდეთ. სახლიდან გასვლისას გადაამოწმეთ თქვენი გარეგნობა, რომ ყურადღების ცენტრში თქვენ აღმოჩნდეთ და არა თქვენი ტანსაცმელი.

**მერწყული:** ცხოვრება გარკვეულ სიტუაციაში მოგახვედრებთ, რომელიც წარმატებებს გპირდებათ, მაგრამ თავბრუ არ დაგეხვეთ, მიჰყევით დინჯად და დაფიქრებით.

**თევზები:** მომატებული ენერგია და ტონუსი მოგცემთ შესაძლებლობას, განახორციელოთ დაგეგმილი. თუმცა, ზედმეტსაც ნუ მოინდომებთ, თორემ გადაიღლებით.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. ანატოლი; 5. ქსელი; 6. იდა; 8. ურო; 9. კაკაო; 11. ამერიკა.
**შვეულად:** 1. მაზლი; 2. დონ; 3. ავსტრია; 4. ინდიანა; 7. მარიო; 10. შენ.



# უშუ ქუთაისში შველას ითხოვს

**უშუს ბუდისტმა ბერმა ბუდიდჰარმა (ტამომ) ჩაუყარა საფუძველი, ჰენანის პროვინციის ერთ-ერთ პატარა სოფელ შაოლინში. მან იქაურ ბერებს სასიცოცხლო ძალის გასაძლიერებლად ფიზიკური ვარჯიშები ასწავლა, რასაც 18 ცხოველის (ვეფხვი, ლეოპარდი, გველი, დრაკონი და სხვა) მოძრაობები დაედო საფუძვლად.**



უშუს პირველი ოფიციალური ჯგუფი საქართველოში 1981 წელს ჩინელი ქრისტიანი შიფუს სუეინ ჯოუს შანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. შანის თაოსნობით ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ სხვადასხვა ტურნირებზე.

უშუ ძალადობას უარყოფს და კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის იბრძვის. თუ ეს არ გამოვა, მაშინ რამდენადაც ძლიერი და ძალადობრივიცაა შეტევა, იმდენად დამანგრეველია პასუხი. მას აქვს თავისი მორალური კოდექსი, წესები, პრინციპები, რომელზეც გადის ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჩამოყალიბების გზა.

უშუ–კუნგ-ფუ შედარებით ნაკლებად გავრცელებულია. ის რადიკალურად განსხვავდება სხვა აღმოსავლური ორთაბრძოლებიდან. უფრო მეტიც, იგი ფილოსოფიაა დაოიზმისა და ბუდიზმის განუყოფელი ნაწილი და აჩვენებს, თუ როგორ უნდა ებრძოლოს ადამიანი ბედს, ყველა საკითხს მოთმინებით შეხვდეს და ცხოვრებისაგან მეტი სარგებელი მიიღოს. მასში 300-ზე მეტი სტილია.

პეკინში არსებობს სპეციალური აკადემია, სადაც ახალგაზრდებს, მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე, კინოფილმებში გადასაღებად ამზადებენ.

დედაქალაქიდან უამრავი ვიდეოფირი ჩამოდის წარწერით: „...კუნგ-ფუ"; „...კარატე კუნგ-ფუ", რაც დიდი შეცდომაა, რადგან მასში უშუს დიდოსტატები მონაწილეობენ.

ეს სპორტი აწრთობს და ისწავლება როგორც პროფესიონალური, ასევე სამოყვარულო დონეზე, რაც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის, სხეულის დახვეწისთვის (წონა, ხერხემალი, ნივთიერებათა ცვლა, სიმსუბუქის შეგრძნება, სუნთქვა და ა.შ.). ძირითადი აქცენტი მაინც საბრძოლოსა და საჩვენებელზე კეთდება და ფიზიკური დატვირთვაც მეტია უკეთესი შედეგის მისაღწევად.

***

უშუს ქუთაისელი მასწავლებლები ამბობენ, რომ ამ სპორტს მერიიდან და სახელმწიფოსგან ყურადღება არ ექცევა. ერთადერთხელ, „ნაციონალების" მმართველობის დროს, 1500 ლარი დაწესდა, ვინც საქართველოს ჩემპიონატს მოიგებდა. თუმცა ეს დანაპირებიც არ შესრულდა. სპორტსმენს 100 ლარი ერგო, აქედან 20% საშემოსავლო დაიქვითა.

**ზურაბ კაპანაძე,** მწვრთნელი: „ბევრს კი არ ვითხოვთ, ან ნაკრები დააფინანსონ, ან პირველ ადგილზე ვინც გავა შეჯიბრებებზე. ინვენტარით გაგვიწიონ თანადგომა. ჩვენი სპორტსმენების წარმატება ქალაქის გამარჯვებაა და ქვეყნის სახელიცაა. სხვა თუ არაფერი, წარმატებული 5 გზის, 6 გზის ჩემპიონები რომ აღარ დადიან ვარჯიშზე ისე მონდომებით, იმ მიზეზით, რომ ამაში პერსპექტივას ვერ ხედავენ, ეს ცუდი მაგალითია პატარებისთვის. ჩვენს სპორტსმენებს ძლიერ უყვართ ეს საქმე და ჯერაც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რომ რაღაც გამოვა".

არის სახეობები, რომელნიც ამდენ წარმატებებს ვერ აღწევენ, რამდენსაც ჩვენ, თუმცა რაღაც ყურადღება, დაფინანსება, ინვენტარები და სხვა რამ მაინც აქვთ მერიიდან. თუ ჩვენ უყველაფროდ ამდენს ვშრომობთ და ასეთი წინსვლა გვაქვს, ხომ შეიძლება მეტი შესაძლებლობა მოგვეცეს და ქალაქსაც მეტ სახელს მოვუტანთ."

**დათო წულაია,** მწვრთნელი: კონსტანტინე ქობულაძე იყო ერთადერთი სპორტსმენი საქართველოს ნაკრებიდან, რომელიც მიწვეული იყო მალაიზიაში მსოფლიო ჩემპიონატზე. მერია ბოლო დრომდე გვპირდებოდა თანხის გამოყოფას. როცა უნდა გაგვეგზავნა მონაწილეობისთვის, თანხის ნაწილი დაგვეჯავშნა. გვეუბნებიან – პრობლემაა და ვერ გაფინანსებთო. ეს ქალაქის სირცხვილიცაა, ქვეყნის სირცხვილიც.

სპორტსმენსაც გული აცრუებული აქვს – ევროპაზე უნდა წასულიყო, მსოფლიოზე უნდა წასულიყო. 11 წელია, ვარჯიშობს და 5-ჯერ გავიდა ევროპის ჩემპიონატზე და ყველა მოიგო. მიუხედავად ამისა, არავითარ ყურადღებას არ იჩენს ადგილობრივი ხელისუფლება მის მიმართ. ჭომიდან აქამდე მოსვლისათვის მარტო ტრანსპორტში 2 ლარი უნდა გადაიხადოს დღეში. სხვა პრობლემებიც ხომ გააჩნია... ასეთ სპორტსმენს 200 ლარი მაინც ხომ უნდა მიეცეს თვეში. მეტ დაინტერესებას ნახავდა არამარტო ეს ერთი ადამიანი."

**ალიკა აბშილავა**



შეადგინა ალეკო ნემსაძე

## ვინ არის ფოტოზე?



**პასუხი წინა ნომრის ფოტო–ვიქტორინაზე**



საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გოგა ხაჩიძე სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



ბუბაზ სანიკიძე

დაგვიკავშირდით:

- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

**პასუხი წინა ნომრის ფოტო–ვიქტორინაზე**



ბურამ ოდიშარია

ოდიშარია, პოსტი შარია...

**მარი კოხრეიძე**

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. რელიგიის უარყოფა; 5. გაზაფხულის თვე; 6. ჯარი. ლაშქარი (მოძველ); 8. ქართული „თ" ასოს სახელი; 9. „ვირა", ასწიე. „..." დაუშვი; 11. ჯორჯიის შტატის დედაქალაქი.

**ვერტიკალურად:** 1. მადლობა ფრანგულად; 2. ჩვენი ვარსკვლავი; 3. დიდი საბინაო ვარცლი; 4. „ამომავალი მზის" ქვეყანა; 7. მდინარე გერმანიაში; 10. მოწონების შეძახილი კორიდაზე.

